



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი № 67813/11

ჟანა ძეზნიაური

საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2014 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

ფეივი ჰირველე, *თავმჯდომარე*,

ნონა წოწორია,

ფარის ვეჰაბოვიჩი, *მოსამართლეები*,

და ფატომ არაჯი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე*,

მხედველობაში მიიღო რა 2011 წლის 7 ოქტომბერს შემოტანილი ზემოაღნიშნული საჩივარი,

მხედველობაში მიიღო რა მოპასუხე მთავრობის მიერ 2014 წლის 29 მაისს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელშიც იგი ითხოვს, რომ სასამართლომ აღნიშნული საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, და ამ დეკლარაციაზე მომჩივნის პასუხი,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ქ-ნი ჟანა ძეზნიაური, არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1951 წელს და ცხოვრობს თბილისში. მას სასამართლოში წარმოადგენდნენ ქ-ნი თ. დეკანოიძე და ქ-ნი თ. აბაზაძე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, როგორც ისინი მხარეებმა წარმოადგინეს, შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

4. მომჩივანი არის თბილისის კერძო საავადმყოფოში („ლეჩკომბინატის“ სახელით ცნობილი კლინიკა) 2005 წლის 9 აპრილს გარდაცვლილი ბ-ნი გიორგი მეზნაურის დედა. მისი გარდაცვალების მიზეზი იყო მწვავე პანკრეატიტით (პანკრეასის უეცარი ანთება) გამოწვეული შინაგანი სისხლდენა და სეფსისი და პანკრეასის პოსტოპერაციული ნეკროზი.

5. ბ-ნი მეზნაური ამ საავადმყოფოში მოთავსებულ იქნა 2005 წლის 4 მარტს, ნაღვლის ბუშტის ტკივილებით. მოთავსებისთანავე მისმა მკურნალმა ექიმმა, ბ-ნმა ა. ჭ.-შვილმა, მას მწვავე ქოლევსტიტისა და პანკრეატიტის დიაგნოზი დაუსვა. დასმული დიაგნოზის სამკურნალოდ კონსერვატიული მკურნალობის ჩატარების ნაცვლად, ექიმმა პირდაპირ რადიკალურ ზომას – ოპერაციას მიმართა და იმავე დღესვე ამოკვეთა ანთებით პროცესში მყოფი ნაღვლის ბუშტი და პატარა ხვრელის საშუალებით მოახდინა პანკრეასის სადინარის დრენირება. ამ სამედიცინო ჩარევის მიუხედავად, განვითარდა პანკრეასის პოსტოპერაციული ნეკროზი.

6. 2005 წლის 8 ივლისს დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება (საქმე № 07051275) შესაძლო საექიმო შეცდომის ფაქტზე, რომელმაც ბ-ნი მეზნაურის გარდაცვალება გამოიწვია. მომჩივანს მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი. მოწმეებად დაიკითხა ყველა ის მედიკოსი, რომელიც მონაწილეობდა 2005 წლის 4 მარტს ჩატარებულ ოპერაციასა და პაციენტის შემდგომი მკურნალობის პროცესში. ამის გარდა, გამომძიებლისა და მომჩივნის მოთხოვნით, 2005 წლის 16 დეკემბერს და 2006 წლის 6 ოქტომბერს ჩატარდა ორი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელთა მიზანი იყო ჩატარებული მკურნალობის ადეკვატურობის შეფასება.

7. 2007 წლის 14 და 22 ივლისს და 19 ნოემბერს ჩატარებული დაკითხვების დროს, ექიმმა, ბ-ნი გ. რ.-შვილმა, რომელიც ა. ჭ.-შვილის თანაშემწე იყო 2005 წლის 4 მარტს ჩატარებული ოპერაციის დროს, რამდენჯერმე განაცხადა, რომ პანკრეასის პოსტოპერაციული ნეკროზის განვითარების რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად, როგორც წესი, საჭიროა ოპერაციამდე გარკვეული კონკრეტული სამედიცინო გამოკვლევებისა და კონსერვატიული მკურნალობის ჩატარება. მიუხედავად ამისა, ექიმ ა. ჭ.-შვილს არც ერთი ასეთი წინასწარი ღონისძიება არ ჩაუტარებია. ამის ნაცვლად, მან დაიწყო პაციენტისთვის ნაღვლის ბუშტისა და პანკრეასის სასწრაფო და, შესაბამისად, სრულიად მოუმზადებელი ოპერაციის ჩატარება. ბ-ნმა გ. რ.-შვილმა ქირურგიული

ოპერაციის ჩატარების შესახებ ამგვარი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაუდევრობად ან კომპეტენციის ნაკლებობად შეაფასა.

8. რაც შეეხება ზემოხსენებულ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზებს, რომლებიც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა 2005 წლის 16 დეკემბერს და 2006 წლის 6 ოქტომბერს, მათი შედეგები წინააღმდეგობრივი იყო. ამდენად, თუ პირველი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით, არანაირი საექიმო შეცდომის ნიშნები არ ყოფილა დაფიქსირებული ექიმ ა. ჭ.-შვილის მხრიდან, მეორე ექსპერტიზის შედეგმა საწინააღმდეგო დაადასტურა. კერძოდ, როგორც მეორე ექსპერტიზის შედეგებმა აჩვენა, ექიმ გ. რ.-შვილის შეფასების შესაბამისად, პოსტოპერაციული ნეკროზის განვითარების რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ექიმი ა. ჭ.-შვილი კონსერვატიული ხასიათის წინასწარ მკურნალობას ჩაატარებდა.

9. ამ აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, 2010 წლის 8 დეკემბერს მომჩივანმა თხოვნით მიმართა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, რომ ჩატარებულიყო კიდევ ერთი ექსპერტიზა მისი შვილისთვის 2005 წლის 4 მარტს ჩატარებული წინასწარი მკურნალობისა და ქირურგიული ოპერაციის ადეკვატურობის შესაფასებლად. 2011 წლის 3 ივნისს სააგენტომ გასცა თავისი ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც იგი ძირითადად დაეთანხმა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006 წლის 6 ოქტომბრის ანგარიშს. სააგენტომ დაადასტურა, რომ ოპერაციის ჩატარებამდე აუცილებელი იყო კონსერვატიული ხასიათის წინასწარი მკურნალობის ჩატარება მინიმუმ 48 საათის განმავლობაში. ამის გარდა, სააგენტომ მომჩივნის შვილის საავადმყოფოში მკურნალობის პერიოდში სხვა გარკვეული ხარვეზებიც გამოავლინა. გაიცა რეკომენდაცია, რომ აღძრულიყო დისციპლინარული საქმე მთავარი ქირურგის წინააღმდეგ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბ-ნი მეზნაურის მკურნალობაზე. ეს რეკომენდაცია საერთოდ არ შესრულებულა.

10. სისხლის სამართლის გამოძიების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მომჩივნის რეგულარული საჩივრების მიუხედავად, რომლებიც შეტანილი იყო 2008, 2009, 2010 და 2011 წლებში, გამოძიება წინ ვეღარ მიდიოდა. ამ საჩივრებზე საპასუხოდ, მთავარი პროკურატურა, რომლის ხელმძღვანელობაც პასუხისმგებელი იყო გამოძიებაზე, რეგულარულად ატყობინებდა მომჩივანს (ყველაზე ბოლო პასუხი დათარიღებული იყო 2011 წლის 24 ივნისით), რომ სულ მალე იქნებოდა მიღებული საბოლოო საპროცესო გადაწყვეტილება გამოძიებასთან დაკავშირებით. სხვა რაიმე მონაცემი გამოძიების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით საქმის მასალებში არ არის მოცემული.

პრეტენზიები

11. კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, მომჩივანმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შესაბამისი სამოქალაქო საავადმყოფოს სათანადო და უსაფრთხო ფუნქციონირება და არ ჩატარდა იმ საექიმო შეცდომების სრულყოფილი გამოძიება, რომლებმაც მისი შვილის გარდაცვალება გამოიწვია.

სამართალი

12. 2013 წლის 4 ივნისს, სასამართლომ წინამდებარე საჩივრის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა მთავრობას. სასამართლოს აინტერესებდა, შესრულებული ჰქონდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით თავისი შესაბამისი პოზიტიური ვალდებულებები.

13. საქმეზე მორიგების მიღწევის წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, 2014 წლის 29 მაისის წერილით მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ საჩივარში წამოჭრილი პრობლემის მოგვარების მიზნით იგი შემოდის ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთების წინადადებით. მთავრობამ სასამართლოს დამატებით სთხოვა, რომ მან საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

14. დეკლარაციაში ნათქვამი იყო:

„კონვენციის საფუძველზე, ქ-ნ ჟანა მეზნაურის საჩივრების გათვალისწინებით, კერძოდ კი კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიწოდებული საჩივრები სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით;

მხედველობაში იღებს რა ბ-ნი მეზნაურის გარდაცვალების შემთხვევამდე სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების შესახებ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით დადასტურებულ ხარვეზებს;

ადასტურებს რა „ლეჩკომბინატის“ სახელით ცნობილ კერძო კლინიკაში მომჩივნის შვილისთვის ჩატარებული სამედიცინო მკურნალობის პერიოდში გამოვლენილ გარკვეულ ნაკლოვანებებს;

ითვალისწინებს რა სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში (საქმე № 07051275) გამოვლენილ გარკვეულ ნაკლოვანებებს;

მთავრობა აღიარებს, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თავისი პოზიტიური ვალდებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობა იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს 7,000 (შვიდი ათასი) ევრო ნებისმიერი ფულადი ან არაფულადი ზარალის და ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად. ეს თანხა გადაყვანილი იქნება...“

15. 2014 წლის 13 ივნისის წერილში, რომელშიც მომჩივანი მიესალმა მთავრობის მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებების დარღვევის ფაქტის აღიარებას, მომჩივანმა მიუთითა, რომ იგი მზად

იყო დათანხმებოდა მთავრობის დეკლარაციას, თუ იქიდან ამოღებული იქნებოდა პუნქტი შვიდი ათასი ევროს გადახდის შესახებ. მან განაცხადა, რომ ვერანაირი ფული ვერ აუნაზღაურებდა მას შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ტანჯვას და კატეგორიული უარი განაცხადა, პრინციპის გამო, მთავრობისგან ნებისმიერი ფულადი შეთავაზების მიღებაზე. მომჩივანმა განაცხადა, რომ, რადგან მისი მიზანი იყო, პასუხი ეგოთ იმ გამომძიებლებსა და პროკურატურის თანამშრომლებს, რომლებმაც მისი შვილის გარდაცვალების მიზეზის სისხლის სამართლის გამოძიება ხარვეზებით ჩაატარეს, მთავრობის მიერ მე-2 მუხლის დარღვევის მკაფიო აღიარება უკვე წარმოადგენდა მომჩივნის საჩივრის მიზნების ადეკვატურ და საკმარის კომპენსაციას.

16. *ne ultra petitum* პრინციპიდან გამომდინარე („არ გადაწყვიტო იმაზე მეტი, ვიდრე მოთხოვნილია“), სასამართლო, აღნიშნავს რა ამ საკითხზე მომჩივნის მყარ პოზიციას, პირველ რიგში, თვლის, რომ მთავრობის მიერ თანხის გადახდის ვალდებულებაზე, რასაკვირველია, უარი უნდა ითქვას. ამდენად, არანაირი თანხა არ უნდა იქნეს გადახდილი მომჩივნისთვის წინამდებარე საჩივართან დაკავშირებული საქმის მორიგებით დასრულების ფარგლებში.

17. მეორე მხრივ, ითვალისწინებს რა მომჩივნის აშკარად გამოხატულ თანხმობას მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში მოყვანილ ყველა სხვა პირობაზე, კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული, მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის ფაქტის მთავრობის მიერ ცალსახად აღიარებაზე, სასამართლო თვლის, რომ საქმე მხარეებს შორის, სავარაუდოდ, მორიგებულად უნდა ჩაითვალოს.

18. აქედან გამომდინარე, გამორიცხავს რა მთავრობის მიერ ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებას, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეებს შორის მიღწეული მორიგების დანარჩენ პირობებს. სასამართლო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მორიგება დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვის გაგრძელებას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად
მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად, ამორიცხოს აღნიშნული საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

მეზნაური საქართველოს წინააღმდეგ
ფატომ არაჯი
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე

ფეივი ჰირველე
თავმჯდომარე